

№ 27/04/02 2011 წლის 27 აპრილი ქ. თბილისი

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმა (შემდეგში - სამოქმედო გეგმა).
2. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა განხორციელოს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელმა საუწყებათაშორისო საბჭომ (შემდეგში – საუწყებათაშორისო საბჭო).
3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულმა სამთავრობო სტრუქტურებმა სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ კვარტალური ანგარიშები წარუდგინონ საუწყებათაშორისო საბჭოს.
4. საქართველოს პარლამენტთან არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოს ეთხოვოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა და თანამშრომლობა საუწყებათაშორისო საბჭოსა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სხვა შესაბამის უწყებებთან.

მიხეილ სააკაშვილი

დამტკიცებულია

საქართველოს პრეზიდენტის

2011 წლის 27 აპრილის

N 27/04/02 განკარგულებით

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის
მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა
2011-2012 წლების სამოქმედო გეგმა

მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	შემსრულებელი	ვადა	ინდიკატორი
1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თაობაზე	1.1. ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერალური	1.1.1. ეროვნული რეფერალური მექანიზმის ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებთან ინტეგრირება.	ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებთაშორისო საბჭო (შემდგომი – საუწყებთაშორისო საბჭო), საქართველოს	2011 წლის II ნახევარი	განახლებული და საუწყებთაშორისო საბჭოს მიერ დამტკიცებული ეროვნული რეფერალური მექანიზმი.

<p>არსებული მექანიზმებისა და სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.</p>	<p>მექანიზმის (შემდეგში - ეროვნული რეფერალური მექანიზმი) დახვეწა/გაუმჯობესება .</p>		<p>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდეგში – სახელმწიფო ფონდი)</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>		
		<p>1.1.2. ჯანმრთელობის</p>	<p>საუწყებათაშორისო</p>	<p>2012 წლის</p>	<p>საუწყებათაშორისო</p>

		დაცვის სისტემის მუშაკთათვის ¹ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით შემუშავებული გაიდლაინების ეროვნულ რეფერალურ მექანიზმში ინტეგრირება.	საბჭო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	II ნახევარი	საბჭოს მიერ დამტკიცებული ეროვნული რეფერალური მექანიზმი ინტეგრირებული გაიდლაინებით.
		1.1.3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სერვისების, მათ შორის, ცხელი ხაზის ეროვნულ რეფერალურ მექანიზმში ინტეგრირება.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	2011 წლის II ნახევარი	საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ დამტკიცებული ეროვნული რეფერალური მექანიზმი ინტეგრირებული მსხვერპლთა დაცვის სერვისებით.
		1.1.4. ოჯახში ძალადობის თაობაზე არსებულ საკანონმდებლო ან/და სხვა ნორმატიულ/სამართლებრივ აქტებში შეტანილ	საუწყებათაშორისო საბჭო; სახელმწიფო ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და	2012 წლის II ნახევარი	კორექტირებული ეროვნული რეფერალური მექანიზმი.

¹ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაკები – პირველადი ჯანდაცვის რგოლი, გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია, გადაუდებელი სასწრაფო დახმარება, ტრავმატოლოგია.

		<p>ცვლილებებთან ეროვნული რეფერალური მექანიზმის შესაბამისობაში მოყვანა.</p> <p>ეროვნულ რეფერალურ სისტემაში სპეციფიკური ღონისძიებების განსაზღვრა სპეციალური საჭიროების (მოთხოვნების) მქონე ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პირთათვის.</p>	<p>საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p> <p>საუწყებათაშორისო საბჭო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო ფონდი.</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>		
	<p>1.2 ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში სამართლებრივი ბაზის დახვეწა/სრულყოფა.</p>	<p>1.2.1. „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის N665 ბრძანებულებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი პროცედურების სრულყოფა.</p>	<p>საუწყებათაშორისო საბჭო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>2011 წელი</p>	<p>საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების პროექტის მომზადება და საქართველოს პრეზიდენტისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.</p>

		<p>1.2.2. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შეფასების შედეგების საფუძველზე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება.</p>	<p>საუწყებათაშორისო საბჭო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>2011 წელი</p>	<p>მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.</p>
		<p>1.2.3. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაკთათვის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება.</p>	<p>საუწყებათაშორისო საბჭო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>2011 წლის II ნახევარი</p>	<p>რეკომენდაციების შემუშავება.</p>

		<p>1.2.4. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება ოჯახში მოძალადე არასრულწლოვნებთან დაკავშირებით არსებული პასუხისმგებლობის მექანიზმების სრულყოფის თაობაზე.</p>	<p>საუწყებათაშორისო საბჭო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს სახალხო დამცველი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>2012 წლის II ნახევარი</p>	<p>მომზადებული რეკომენდაციების პაკეტი.</p>
	<p>1.3 ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ერთიანი სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესება და სისტემატიზაცია.</p>	<p>1.3.1. ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის ერთიანი სტანდარტის შემუშავება.</p>	<p>საუწყებათაშორისო საბჭო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს შრომის,</p>	<p>2012 წლის I ნახევარი</p>	<p>შემუშავებული სტატისტიკის დოკუმენტი.</p>

			<p>ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სახელმწიფო ფონდი; საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; სასამართლო ორგანოები; საქართველოს სახალხო დამცველი</p> <p>(დაინტერესებული არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები).</p>		
		<p>1.3.2. თავშესაფრებში განთავსებულ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთიანი მონაცემთა ბაზის წარმოებისთვის მემორანდუმის დოკუმენტის შემუშავება და შესაბამის მონაცემთა ელექტრონული ბაზის პროგრამის შექმნა.</p>	<p>სახელმწიფო ფონდი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p> <p>(დაინტერესებული არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები).</p>	<p>2011 წელი და 2012 წლის I ნახევარი</p>	<p>მემორანდუმის დოკუმენტი; ელექტრონული პროგრამა.</p>
<p>2. ოჯახში ძალადობის</p>	<p>2.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის,</p>	<p>2.1.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა</p>	<p>საუწყებათაშორისო საბჭო; საქართველოს</p>	<p>2011 წელი</p>	<p>საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ</p>

<p>მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია.</p>	<p>დახმარებისა და რეაბილიტაციის მექანიზმების გაუმჯობესება.</p>	<p>რეაბილიტაციის სტრატეგიის შემუშავება.</p>	<p>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>		<p>დამტკიცებული სტრატეგიის დოკუმენტი.</p>
	<p>2.2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების განვითარება.</p>	<p>2.2.1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების მდგრადობის უზრუნველყოფა.</p>	<p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო ფონდი.</p>	<p>2011-2012 წწ.</p>	<p>სახელმწიფო ფონდისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებში თავშესაფრების გათვალისწინება.</p>
		<p>2.2.2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების ქსელის გაფართოება ახალი თავშესაფრებით.</p>	<p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>2011-2012 წწ.</p>	<p>1 ახალი თავშესაფარი რეგიონში.</p>

	2.3. ეროვნული ცხელი ხაზის განვითარება.	2.3.1. ეროვნული ცხელი ხაზის მდგრადობის და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო ფონდი.	2011-2012 წწ.	სახელმწიფო ფონდისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებში ცხელი ხაზის გათვალისწინება.
	2.4. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაძლიერება.	2.4.1. დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა.	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს სახალხო დამცველი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	2012 წლის I ნახევარი	მონიტორინგის დოკუმენტი.
	2.5. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული რეფერალური	2.5.1. ეროვნული რეფერირების მექანიზმის დანერგვისა და ოჯახში ძალადობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით პროფესიული ტრენინგების ჩატარება შემდეგი მიზნობრივი	საუწყებოთაშორისო საბჭო; შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საჯარო სამართლის	2011-2012 წწ.	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, მსმენელთა რაოდენობა.

	<p>მექანიზმის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად პროფესიული ტრენინგების დანერგვა.</p>	<p>ჯგუფებისათვის:</p> <p>ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის (საუბნო და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები);</p> <p>ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისათვის (პროკურორები);</p> <p>გ) სოციალური მუშაკებისათვის;</p> <p>დ) მოსამართლეებისათვის;</p> <p>ე) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებისათვის;</p> <p>ვ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებისათვის;</p> <p>ზ) ბავშვთა მომსახურების დაწესებულებების პერსონალისათვის;</p> <p>თ) ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაკებისთვის;</p> <p>ი) ოჯახში ძალადობის</p>	<p>იურიდიული პირი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო ფონდი; საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>		
--	--	--	---	--	--

		<p>მსხვერპლთა დაცვის სფეროში სერვისის მიმწოდებლებისათვის;</p> <p>კ) საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის;</p> <p>ლ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებისათვის.</p>			
--	--	---	--	--	--

<p>3. ოჯახში ძალადობის პრევენცია და ოჯახში ძალადობის საკითხების მიმართ ცნობიერების დონის ამაღლება.</p>	<p>3.1. ოჯახში ძალადობის პრევენციის მეთოდების გაუმჯობესება.</p>	<p>3.1.1 მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის შემდგომი განვითარებისათვის სახელმწიფო სტრატეგიის და რეკომენდაციების შემუშავება.</p>	<p>საუწყებათაშორისო საბჭო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო ფონდი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>2012 წ.</p>	<p>რეკომენდაციების პაკეტი. სტრატეგიის დოკუმენტი.</p>
	<p>3.2. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული რეფერალური მექანიზმის გაცნობისა და დანერგვისათვის შესაბამისი ღონისძიებების უზრუნველყოფა.</p>	<p>3.2.1. საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმოებით:</p> <p>ა) თემატური ვიდეორგოლების, რადიო და სატელევიზიო გადაცემების მომზადება და განთავსება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში;</p> <p>ბ) საინფორმაციო-</p>	<p>სახელმწიფო ფონდი; საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი მაუწყებელი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>2011-2012 წწ.</p>	<p>ვიდეორგოლების, რადიო-ტელეგადაცემების რაოდენობა;</p> <p>მეორე წლის მაჩვენებლები: მეორე წლის შედეგების შედარება პირველი წლის შედეგებთან, პროგრესის მაჩვენებელი. საინფორმაციო მასალის</p>

		საცნობარო მასალის მომზადება და გავრცელება.			რაოდენობრივი მაჩვენებელი და გავრცელების არეალი.
		<p>3.2.2. საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრების უზრუნველყოფა შემდეგ მიზნობრივ ჯგუფებთან:</p> <p>ა) იძულებით გადაადგილებული პირები;</p> <p>ბ) სოფლად მცხოვრები მოსახლეობა;</p> <p>გ) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.</p>	<p>საუწყებათაშორისო საბჭო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; სახელმწიფო ფონდი; საქართველოს სახალხო დამცველი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	2011-2012 წწ.	განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა.